

## „ტიხრული მინანქრის დამზადების ტექნოლოგია“

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებულის მსმენელი მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერთიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები.

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში - 21 კვირა (259 საათ)

კვირეული საათობრივი დატვირთვა - კვირეული დატვირთვა შეადგენს 12 საათს, გარდა 12-16 კვირისა (კვირეული დატვირთვა - 13სთ.) და ბოლო 21 კვირას 14სთ.

**პროგრამის მიზნები:** პროგრამის მიზანია მოკლე ვადაში მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი პირი, რომელსაც შეეძლება მომინანქრებისათვის ლითონის ფირფიტის მომზადება, ფუძეზე ტიხრული კონტურებით ნახატის შექმნა, ტიხრული მინანქრის ტექნიკით ნაკეთობის დამზადება, გახეხვა/გაპრიალება ნამუშევრისათვის საბოლოო სახის მიცემა უსაფრთხოების წესების დაცვით.

პროგრამის მსვლელობისას მსმენელები შეისწავლიან ტიხრული მინანქრის დამზადების ტექნიკას, ტიხრული მინანქრის ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულების თანმიმდევრობას და ბრტყელ ზედაპირზე ტიხრული მინანქრის ნაკეთობის შექმნას შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

### სწავლის შედეგები: მსმენელს შეუძლია

1. ტიხრული მინანქრის ტექნიკის აღწერა;
2. ტიხრული მინანქრის დადების ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულება;

ბრტყელ ზედაპირზე ტიხრული მინანქრის ნაკეთობის შექმნა.